ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

N 194-02
03/04/2019

194-02-3-201904030953

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლით განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1-ლი კვარტლის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის პირველ კვარტალში შემოსულია სულ 10 წერილობითი მომართვა და განცხადება, რომელიც მოიცავს საჯარო ინფორმაციის თაობაზე 30 მოთხოვნას. აქედან, 29 მოთხოვნაზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილი ვადების დაცვით, 1 მოთხოვნა შესრულების პროცესშია.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მიზნით, არცერთი მოთხოვნა არ შემოსულა.

საჯარო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, სხვადასხვა დროს, გადაწყვეტილება მიღებული აქვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკუთარი სხდომის დახურვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

მის.: საქართველო, ქუთაისი 4600, რუსთაველის გამზ. №3

ტელ.: (0431) 24 40 90

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევასა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელების დადების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკრებულოს მიერ მიღებული არცერთი გადაწყვეტილება გასაჩივრებული არ არის, შესაბამისად, გასაჩივრებასთან დაკავშირებით, საკრებულოსათვის, ხარჯების გადახდის ვალდებულება სასამართლოს მიერ დაკისრებული არ ყოფილა და სასამართლო ხარჯები ამ მიმართულებით არ გაწეულა.

ნინო კაკაბაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მ.შ.

საკრებულოს აპარატი